ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | გაზაფხული 2025
U12 (IX, X, XI, XII კლასები)

11 მაისი

1. 5-ქულიანი შეკითხვა
2010 წელს ექსპერტთა ჯგუფმა გამოიტანა დასკვნა, რომ სოფელ ოზაანში მდებარე მარნის კარზე გაკეთებული წარწერა ეკუთნის მას. მას წარსულში შევხვდებოდით ქაღალდის ფულზეც. თავდაპირველი ფორმით აღადგინეთ სიტყვა, რომელიც შეკითხვის ტექსტში ორჯერ შევამოკლეთ.

პასუხი: ფიროსმანს
კომენტარი: მარანში გაკეთებული წარწერა ცნობილ ქართველ მხატვარს, ნიკო ფიროსმანაშვილს, იგივე ფიროსმანს ეკუთვნის, რომელიც ოზაანთან ახლომდებარე მირზაანში დაიბადა. ფიროსმანი 2006 წლამდე წარმოებულ ქაღალდის ერთლარიანზე იყო გამოსახული.
წყარო: ბმული

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ბიოლოგმა შიგერუ სატომ აღმოაჩინა პროტეინი, რომელიც რეაქციებში ელვის სისწრაფით შედიოდა, ამიტომ მას სახელად როკაჩურინი უწოდა. წინა წინადადებაში ერთი ბერძნული ასო შევცვალეთ სხვა ბერძნული ასოთი. არ გთხოვთ ამ ასოს აღდგენას. შეძლებისდაგვარად ზუსტად დაწერეთ რიცხვი, რომელიც აღსადგენ ბერძნულ ასოს უკავშირდება.

პასუხი: 3.14
ჩათვლა: 3.14-ით დაწყებული რიცხვები
კომენტარი: იაპონელმა ბიოლოგმა პროტეინს უწოდა "პიკაჩურინი" პოკემონების ცნობილი პერსონაჟის, ელექტროძალების მქონე პიკაჩუს პატივსაცემად. ბერძნული ანბანის ასო "პი" შეცვლილი იყო ბერძნულ ანბანში მისი მომდევნო ასოთი "რო". სიტყვები "შეძლებისდაგვარად ზუსტად" დამატებითი მინიშნება იყო, რადგან პი რიცხვი ირაციონალური რიცხვია.
წყარო: ბმული ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ამერიკულ სერიალში სანაპიროს მიადგება კრიმინალური ორგანიზაცია, რომელსაც არალეგალური ბიზნესის წარმოება სურს. შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივები მათ გეგმებს წყალში ჩაუყრიან. შვიდასოიანი სიტყვით დაასახელეთ ქალაქი, რომელშიც მიმდინარეობს აღნიშნული სერიის მოქმედება.

პასუხი: ბოსტონი
კომენტარი: ადგილობრივებმა პირდაპირი მნიშვნელობით გემიდან წყალში გადაუყარეს ის რესურსი, რითაც კრიმინალები ბიზნესის წარმოებას აპირებდნენ. ამ ქმედებით ადგილობრივებმა ერთგვარად გაიმეორეს 1773 წლის ბოსტონის ჩაის სმა.
წყარო: Carmen Sandiego S2E5

4. 5-ქულიანი შეკითხვა

წიგნი, სახელად “როგორ ჩავეხუტოთ იქსს”, გვასწავლის რთულ ადამიანებთან სწორად ურთიერთობას. მძიმე მდგომარეობის აღწერისას ერთმა იუზერმა თავი შეადარა იქსს, რომელიც ბუშტების ქარხანაშია გამოკეტილი და მოძრაობის ეშინია. დაწერეთ იქსით შეცვლილი არსება.

პასუხი: მაჩვზღარბა
ჩათვლა: ზღარბი
კომენტარი: წიგნი გვასწავლის, როგორ ვიურთიერთოთ რთულ ადამიანებთან სწორად და როგორ “ჩავეხუტოთ” მათ ეკლების მიუხედავად. ბუშტების ქარხანაში გამოკეტილი მაჩვზღარბა გამოძრავების შემთხვევაში ბუშტებს დახეთქავს და პრობლემებს შექმნის.
წყარო: ბმული ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
1974 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე ნიდერლანდების ნაკრები საოცრად ორგანიზებული და საათივით აწყობილი ტაქტიკით გამოირჩეოდა. ამ ნაკრებს თანამედროვეებმა უწოდეს იქსი. “იქსის” ერთ-ერთ ინსპირაციად მიიჩნევა ავტორის ვიზიტი ლენინგრადში. დაასახელეთ იქსი ორი სიტყვით.

პასუხი: მექანიკური ფორთოხალი
კომენტარი: ნიდერლანდების ნაკრების ტრადიციული ფორმა ნარინჯისფერია. საათივით აწყობილ ნიდერლანდების ნაკრებს მექანიკური ფორთოხალი უწოდეს. ენტონი ბერჯესის ამავე სახელის მქონე წიგნში მრავლად ვხვდებით რუსულ სიტყვებსა და ჟარგონებს.
წყარო: ბმული ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
ინდიელების უკიდურეს სიღარიბეზე საუბრისას ერთი პერსონაჟი ხუმრობს, რომ პირველ ინდიელებს ალბათ იქსის იგრეკიც არ ექნებოდათ და ხელების გამოყენება მოუწევდათ. იქსის იგრეკები ფიგურირებს სტატიაში, რომელიც ეხება ზაფხულში გარკვეული აქტივობის დროს დაშავებულებს. დაწერეთ იქსის იგრეკი ორი სიტყვით.

პასუხი: ლეღვის ფოთოლი
კომენტარი: ბიბლიური გადმოცემის თანახმად, პირველმა ადამიანებმა - ადამმა და ევამ - სხეული ლეღვის ფოთლით დაიფარეს. პერსონაჟი ხუმრობს, რომ პირველ ინდიელებს ლეღვის ფოთლებიც კი არ ექნებოდათ და სხეულს ხელებით დაიფარავდნენ. ზაფხულში რუჯის მისაღებად ხანდახან იყენებენ ლეღვის ფოთლების ნახარშს, რაც ძალიან სახიფათოა და ხშირად დამწვრობით სრულდება.
წყარო: Sherman Alexie “The Absolutely True Diary of a Part-Time Indian”, ბმული

7. 5-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]



ერთი სახუმარო ვიდეოს მიხედვით, ახალ აიფონს ჩაშენებული ექნება ვირტუალური ასისტენტი. ამ ვიდეოში, კითხვაზე "რა არის ჩემი საყიდლების სიაში?", ასისტენტი პასუხობს - პური, რძე და გრენლანდია. დაწერეთ მამაკაცის სახელი, რომელიც ჰქვია ამ გამოგონილ ასისტენტს.

პასუხი: დონი / დონალდი
კომენტარი: სახუმარო ვიდეოში აღწერილია ამერიკული წარმოების აიფონი, რომელსაც გამოგონილი ასისტენტი მოჰყვება. მასალაზე ნაჩვენები სახასიათო ვარცხნილობითა და წითელი ჰალსტუხით, ეს ასისტენტი ნამდვილად წააგავს დონალდ ტრამპს. ტრამპმა რამდენიმე თვის წინ განაცხადა, რომ მას გრენლანდიის შემოერთება სურდა.
წყარო: ბმული

8. 6-ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]
ერთ ვიდეოში აღნიშნულია, რომ ადამიანის იქსი ბევრ რამეს ამბობს მის პიროვნულ თვისებებზე. ერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ მაშინაც კი, როდესაც ექიმებს სთხოვენ, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ, მათ მაინც ყველაზე უარესი იქსი აქვთ. დაწერეთ იქსით შეცვლილი უცხოური სიტყვა ათი ასოს გამოყენებით.

პასუხი: კალიგრაფია
კომენტარი: ვიდეოში აღნიშნავენ, რომ ადამიანის შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება იმის მიხედვით, თუ როგორია ადამიანის კალიგრაფია. კვლევის თანახმად, ექიმები გამოირჩევიან განსაკუთრებით ცუდი კალიგრაფიით მაშინაც კი, როცა სპეციალურად სთხოვენ გარკვევით წერას.
წყარო: ბმული ბმული

9. 7-ქულიანი შეკითხვა
ამერიკულ ფილმში, წყვილი მშვენიერ დროს ატარებს ერთ ქალაქში, რა დროსაც უეცრად დაქორწინებას გადაწყვეტენ და მალევე სისრულეში მოიყვანენ ამ სურვილს. სამწუხაროდ ბედნიერი დღეები ამ ქალაქშივე დარჩება და ნიუ-იორკში დაბრუნებული პერსონაჟებს მალევე ექმნებათ ოჯახური პრობლემები. დაწერეთ თუ რომელ ქალაქში იმყოფებოდნენ გმირები.

პასუხი: ლას ვეგასი
კომენტარი: ლას ვეგასში ქორწინება გაცილებით უფრო მარტივად ხდება, ვიდრე ამერიკის სხვა რეგიონებში. იქ არ ითხოვენ სისხლის ანალიზსა და სხვა დოკუმენტებს, რის გამოც პერსონაჟებმა უეცარი გადაწყვეტილება მალევე მოიყვანეს სისრულეში. ცნობილი გამოთქმის მიხედვით "ის რაც

ხდება ვეგასში, რჩება ვეგასში”, რაც ფილმის გმირებზეც გავრცელდა, რადგან საუკეთესო დღეები მათ სწორედ ვეგასში დატოვეს.
წყარო: ბმული

10. 5-ქულიანი შეკითხვა
1960-იან წლებში დიდ ბრიტანეთში პერიოდულად ხდებოდა შეტაკებები ახალგაზრდულ დაჯგუფებებს შორის. ერთ ასეთ შემთხვევაზე საუბრისას ერთი კრიტიკოსი ავლებს პარალელს და ხაზს უსვამს, რომ დაჯგუფებები ერთმანეთს ქვებსა და იქსის ბოთლებს ესროდნენ. დაწერეთ იქსი მოკლე სიტყვით.

პასუხი: რძე
კომენტარი: ბრიტანეთში, 60-იან წლებში ხშირი იყო ახალგაზრდული ბანდების დაპირისპირებები. სიმბოლურია, რომ კრიტიკოსი გარკვეულ მსგავსებას ხედავს ამ რეალური დაჯგუფების წევრებსა და ენტონი ბერჯესის “მექანიკური ფორთოხლის” გმირებს შორის, რომლებიც სვამდნენ რძეს.
წყარო: ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა]



მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ავსტრალიელებს სრული თავისუფლება ჰქონდათ იქსის გადაღებისას. იქსის შესახებ ვიკიპედიის სტატიაში ნაჩვენებია ალ კაპონეს იქსი. ინგლისური არაფორმალური ტერმინით ან რამდენიმე ქართული სიტყვით დაასახელეთ იქსი.

პასუხი: Mugshot [მაგშოთი]
ჩათვლა: დაკავების შემდგომი ფოტო, აზრობრივად სწორი პასუხები
კომენტარი: ავსტრალიის პოლიცია წარსულში უფლებას აძლევდა დაკავებულებს, რომ დაკავების შემდგომი ფოტო, ე.წ. მაგშოთი ნებისმიერ პოზაში გადაეღოთ. შედეგად, სტანდარტული წინიდან-და-გვერდიდან ფოტოსურათების ნაცვლად ბევრი არტისტული ფოტო დაგროვდა. ბუნებრივია, მაგშოთის შესახებ ვიკიპედიის სტატიაში ცნობილი კრიმინალის მაგშოთს ვხვდებით.
წყარო: ბმული ბმული

12. 7-ქულიანი შეკითხვა
იქსით შეცვლილია ოთხასოიანი სიტყვა.

ბრაზილიის ერთ ციხეში კედლებს მიღმა აცხოვრებენ იქსებს, რადგან თუ პატიმარი გაიქცევა, იქსები საშინელ ხმაურს ატეხენ. გადმოცემის თანახმად, იქსების სწორედ ამ თვისებამ გადაარჩინა... დაასრულეთ წინადადება ტოპონიმის გამოყენებით.

პასუხი: რომი
კომენტარი: ციხის კედლებს მიღმა ჰყავთ ბევრი ბატი, რათა ბატებმა პატიმრის კედელზე გადაძრომის შემთხვევები ხმაურით აცნობონ ციხის დაცვას. გვიან ღამით ბატების საშინელმა ხმაურმა საუკუნეების წინ უეცარ თავდასხმას გადაარჩინა ქალაქი რომი.
წყარო: ბმული ბმული

13. 5-ქულიანი შეკითხვა
კანარის კუნძულებზე მდებარე ვულკან ტეიდეს იქსი დილაობით და საღამოობით ერთ-ერთი ყველაზე ასეთი იქსია წყლის ზედაპირზე. ცნობილი სერიალის პერსონაჟი, რომელმაც ასეთი იქსის შესახებ შეგონება მოისმინა, განასახიერა 1 მეტრისა და 35 სანტიმეტრის სიმაღლის მქონე მსახიობმა. დაასახელეთ ასეთი იქსი.

პასუხი: გრძელი ჩრდილი
ჩათვლა: დიდი ჩრდილი, მაღალი ჩრდილი
კომენტარი: ტეიდე კუნძულზე მდებარეობს, ამიტომ მზის ამოსვლისა და ჩასვლისას მისი კოლოსალური ზომის ჩრდილი წყლის ზედაპირზე ეცემა. პიტერ დინკლიჯმა განასახიერა "სამეფო კარის თამაშების" პერსონაჟი - ჯუჯა ტირიონ ლანისტერი - რომელმაც ვარისისგან მოისმინა შეგონება: ძალიან პატარა კაცსაც შეუძლია, ძალიან გრძელი ჩრდილი ჰქონდეს".
წყარო: ბმული ბმული

14. 6-ქულიანი შეკითხვა
გირჩევთ, ჩაიწეროთ.
ერთ იუმორისტულ წიგნში ნათქვამია, რომ ცნობილმა მწერალმა მეტამორფოზა განიცადა და ჩამოაყალიბა ერთკაციანი მუსიკალური ჯგუფი, რომლის სახელიც მცირედით განსხვავდება 1960 წელს ჩამოყალიბებული ინგლისური ბენდის სახელისგან. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სახელი მზამზარეული ალუზიაა იქსზე. იქსის შემჩნევა შეკითხვის ტექსტშიც შეგეძლოთ. დაწერეთ იქსით შეცვლილი ხუთასოიანი გვარი.

პასუხი: ზამზა
კომენტარი: ამ წიგნში ფრანც კაფკამ თავის ბენდს დაარქვა "the Beatle". პოპულარული ვერსიით, "ბითლზის" სახელი სიტყვების თამაშია ორ ინგლისურ სიტყვაზე: "Beat", რაც მუსიკალური ტერმინია, და "Beetle", რაც ხოჭოს ნიშნავს. "მეტამორფოზა" დამატებითი მინიშნება იყო ფრანც კაფკას ამავე სახელის მქონე ნაწარმოებზე, რომლის მთავარი გმირი, გრეგორ ზამზა, ხოჭოდ გადაიქცა. "ზამზა" შეგეძლოთ შეგემჩნიათ სიტყვაში "მზამზარეული".
წყარო: ბექა ადამაშვილი, "ბესტსელერი"; ბმული

15. 7-ქულიანი შეკითხვა
1969 წელს ჩარლზ მენსონის ბანდა იმალებოდა სპეციფიკური ფერის მქონე სახლში. მენსონმა სახლს "მიშელი" უწოდა, რაც ალუზია იყო 1966 წლის ნაწარმოებზე. სამი ქართული ან ორი ინგლისური სიტყვით დაწერეთ, რა შევცვალეთ სიტყვით "მიშელი".

პასუხი: ყვითელი წყალქვეშა ნავი / yellow submarine

კომენტარი: ამ შეკითხვით გავაგრძელეთ წინა შეკითხვის თემატიკა. ცნობილი კრიმინალური დაჯგუფება ყვითელ სახლში იმალებოდა, რომელსაც მენსონმა Yellow submarine (ყვითელი წყალქვეშა ნავი) უწოდა ბითლზის ცნობილი ჰიტის მიხედვით. “მიშელი” ბითლზის კიდევ ერთი ცნობილი სიმღერაა, რომლითაც ჩვენ გამოსაცნობი სიმღერა შევცვალეთ.

წყარო: ბმული ბმული